



მენორა

გამოდის 1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

MENORA
JEWISH
NEWSPAPER
IN GEORGIA

מנורה

“МЕНОРА”
ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА
В ГРУЗИИ
“מנורה”
עיתון יהודי
בגור

იანვარი
(შპატი)
1-30
№1-2 (311-312)
(5770 წელი)
2010 წელი
ფასი 50 თეთრი

არ მოძკვარა, მხოლოდ სძინავს, და ისევე გაღვიძებს!..

ვინც შენატრის იმის სიკვდილს, უძალ მასვე დააძინებს

აპაპი, 1880 წელი

„ჯოინთის“ საქართველოს წარმომადგენლობამ კიდევ ერთხელ გამოავლინა საქართველოს ებრაელობასთან დამოკიდებულების მცდარი სტილი: „მენორას“ 2010 წლის დაფინანსებაზე ჯერ უარი თქვა, ხოლო შემდეგ ისეთი თანხა შემოგვთავაზა, რაც „მენორას“ გამოცემას შეუძლებელს ხდის. ამით მან ქართველ ებრაელობას წაართვა საშუალება თავის ენაზე მიიღოს ინფორმაცია იმაზე, თუ რა ხდება საქართველოსა, თუ მსოფლიოს ებრაელობაში, რა ღირსებათა მატარებელია საქართველოს ებრაელობა, გაიღრმავოს ებრაული შემეცნება და ა.შ.

ჩვენ ამ თემაზე — საქართველოში „ჯოინთის“ წარმომადგენლობის მუშაობის სტილზე — ვრცელი და პრინციპული საუბარი გვექნება, მანამდე კი მკითხველს ვაუწყებთ, რომ ებრაული თემის ზოგიერთი წარმომადგენლის უკეთურ ქმედებათა ნუსხაში კიდევ ერთი შავი „საქმე“ ჩაინერა — ისინი სპორტული ჟინით ცდილობდნენ „მენორას“ შუქის ჩაქრობას.

გონიერნი, წინდახედულნი კარგად ხვდებიან, თუ რა უდევს საფუძვლად ამ ჩალიჩს, ასე რატომ ცდილობენ სიცოცხლე მოუსწრაფონ დიასპორაში გამოძვალ ერთადერთ ქართულენოვან გაზეთს, იმათ, ვინც ქართველი ებრაელობის „სიკეთისთვის იღწვიან“, ასე რატომ სწადიათ შეწყვიტონ არსებობა გაზეთისა, რომელიც ლამის ოცი წელია ემსახურება ქართველი ებრაელობის ღირსეულ საქმეთა, წათელ, მრავალსაუკუნოვან ქართულ-ებრაული ურთიერთობის წარმოჩენას, ამ წლებს განმავლობაში „მენორა“ ქართველ ებრაელთა საყვარელი გაზეთი გახდა მსოფლიოს ყველა კუთხეში. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა „მენორას“ ჯერ 10, მერე 15 წლის იუბილემ, ჩვენ ეს იუბილე მოგვილოცეს საქართველოს პრეზიდენტებმა, მრავალმა დიდებულმა ქართველმა, თუ ქართველმა ებრაელმა მოღვაწემ.

„ჯოინთი“ გვიმტკიცებდა თუ ქართველ ებრაელობას ეს გაზეთი სჭირდება, მისი გამოცემაც დააფინანსოსო. ასეც აღმოჩნდა: ერთ-ერთმა ქართველმა ებრაელმა შეიტყო რა „მენორას“ ფინანსური გასაჭირის თაობაზე, შემოგვეხმინა, თავად გამოგვიცხადა თანადგომა. ამით გამოავლინა უშურველი მზადყოფნა საზოგადო საქმისათვის. ეს თანადგომა ბევრ რამეზე მეტყველებს!

ასე რომ „მენორა“ იცოცხლებს.
„მენორა“ კვლავაც იქნება საქართველოს ებრაელობის ღირსებათა, ქართულ-ებრაული ღირებულებათა, ისრაელისა, თუ სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველი ებრაელობის წარმომჩენი, ჭეშმარიტებისათვის მებრძოლი გაზეთი.

დღეიდან „მენორა“ იქნება დამოუკიდებელი, თავისუფალი, მართალი სიტყვის გამავრცელებელი ებრაული გაზეთი საქართველოში.
თქვენი გაზეთი, ძვირფასო მკითხველო!

გურამ ბათიაშვილი — კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი

14 იანვარს თბილისის შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრში გამართულ ქართული თეატრის დღესა და ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 100 წლოვან იუბილეზე გამოცხადდა კოტე მარჯანიშვილის, სანდრო ახმეტელისა და ვერიკო ანჯაფარიძის პრემიების ლაურეატთა სახელები.

კოტე მარჯანიშვილის სახ. პრემია სხვა ქართველ თეატრალურ მოღვაწეებთან ერთად მიენიჭა მწერალსა და დრამატურგს გურამ ბათიაშვილს — ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მაღალი პროფესიული რედაქტორობისათვის. იგი ამ ჟურნალს 25 წელია რედაქტორობს.

ქართული თეატრის დღესა და ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 100 წლის იუბილეზე თავი მოიყარეს ქართული კულტურის, მეცნიერების გამოჩენილმა მოღვაწეებმა, ქ. თბილისის მერმა გიგი უგულავამ, ებრაული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

ეს გახლდათ დაუფიწყარი ზეიმი.

ქართველი ებრაელობა ევრ-აზიის ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ბიულეტენის ფურცლებზე

15 სექტემბერი 2009 წელი
თბილისი, საქართველო



თბილისის აშქენაზთა განახლებული ბეით ქნესეთის გახსნა დიდი მნიშვნელობის მოვლენად იქცა. შეკრებილთა წინაშე გამოსულმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბრძანა: „ეს სინაგოგა გახლავთ იმის სიმბოლო, რომ ებრაელები არიან საქართველოში და მონაწილეობენ ქვეყნის ისტორიაში“.

ბეით ქნესეთის ნაგებობა დაინგრა 1991 წლის მინისტრის შედეგად და აღდგენილი იქნა ევრ-აზიის კონგრესის მიერ. აღდგენის შემდეგ ბეით ქნესეთს ეწოდა „ბეით რახელი“ — ეაეკ-ის პრეზიდენტის ალექსანდრე მაშკევიჩის დედის ხსოვნის აღსანიშნავად. ალ. მაშკევიჩმა ბეით ქნესეთში სეფერ თორა შეაბრძანა.

17 სექტემბერი 2009 წელი



აშდოდის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთში — „ორ იცხაკი“ ეაე კონგრესის მიერ ახალი სეფერ თორის შებრძანება ებრაული ახალი — 5770 წლის წინადღეებს დაემთხვა. თემის ეს სიხარული ალექსანდრე მაშკევიჩთან და გაბრიელ მირილაშვილთან ერთად ისრაელის მთავარმა რაბინმა იონა მეცგერმა

და ქნესეთის ვიცე-სპიკერმა ალექს მილერმა გაიზიარეს.

აშდოდი ის ქალაქია, ძალიან სწრაფად რომ ვითარდება. საქართველოდან ასული რეპატრიანტები აქტიურად მონაწილეობენ ქალაქ აშდოდის კულტურულ, რელიგიურ, თუ საქმიან ცხოვრებაში.



იკითხეთ გაზეთი "მენორა" ინტერნეტ-საიტზე www.menora.ge

(ყ)ივრი ვარ - ჰურიიაია (ლიტერატურული ოპუსი)

შოთა გოსტანაშვილი



შემოსული წინაპრები უფრო მხიბლავსო. ამდენი ყაყანის გამო ერთმა ურიამ ისიც სთქვა, მეცნიერებაში ზედმეტი დემოკრატია ხომ არ მოგვედისო, ისტორიის სწორხაზოვანი წაკითხვის დრო დამთავრდაო და თავისი არგუმენტის გასაძლიერებლად ფრენის ფუკუიამას წიგნიც დაასახელა "ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი", მერე ჰაინზგაუც მოიშველია - "შოთამაშე ადამიანი" და ისტორიასა და ლიტერატურას შორის უანრული საზღვრების მოშლაც ილაპარაკა. ერთმა მყარმა ურიამ ეს გამოსვლა გამოწვევად მიიღო და თავისი ეჭვიც შეაგება - ეე, ვიცი ესეთი ამბები სადაც იგეგმებაო და ისევ თორისკენ მოუწონდა მოკამათებს. ბოლოს ცნობადმა ყვირმა, ხშირად რომ იხედებოდა საათზე - აი, ხალხო ხუთ წუთში ერთი საათიც გავაო, - აი ერთ წუთში, და ბოლოს, - აი უკვე გავიდაო, დამთავრდაო ყველაფერი, ყველა 26 საუკუნეს ვუბრუნდებითო და არავის ეპატიება ოცდაექვსსაუკუნოვანი სიმების დაწყებაო. სიტყვა "დაწყება" ძალიან დრამატულად გაისმა და კლუბ "26 საუკუნის" დიასახლისმაც ხელები ასწია და "მატჩი" დაამთავრა. პროფესორი ლერნერი მეცნიერული სიდიხვით იღიმებოდა. ზოგი წავიდა - გვიგანა, ზოგი დარჩა "გვაგინა" - აი ამიტომაც არ დავდივარ თქვენს შეკრებებზეო. პარადოქსია, მაგრამ სახლში გახალისებული დაბრუნდა, გზა და გზა ლილინებდა: (ყ)ივრი ვარ ჰურიიაია!..

ჰურიდან ჰორამდე

ის დღე რაღაცით ჰგავდა "უძლები შვილის დაბრუნების" დროს... რაც დრო გადის მეექვსეა, რომ ხელოვნება ვერ ძლებს მეტაფიზიკის გარეშე. ამიტომ არც ამ მეტაფიზიკურ ოპუსს გავუშვებ ხელიდან: (ყ)ივრი და ჰური - ეს ორი სიტყვა ბრუნდება სახლში - მშობლიურ (იოი) და ეს ორი სიტყვა პირველი სახლი ნათლისა (იოი). ამ დღეებში, იმ დროს - იერუსალიმელ სწავლულთან შეხვედრის საღამოზე - ჩვენში რაღაც ალაღ დადგა - აყირავდა, რაღაც მოხდა, ძალიან კარგი. რა რიარია დაგვემართებოდა ამ ორი სიტყვის - ყვირის და ურიას გაგონებაზე, გონებაზე ელარ ვიყავით, არამცთუ ნებაზე. ვინც რა უნდა თქვას და, ქვად აღვიქვავდით, ელდად და მეხად გვეცემოდა ემოდენა ზიზღი და ლიზღი. ეს ორი სიტყვა... სიტყვა კი არა, - სეტყვა; კი არ გვემოდა, - გვესხმოდ; ტყვიაც იყო და ტყვეობის დამცაც; დამლაღვიც და მლაღვიც, მლაფავიც; რაღაც ნიშანი ლალის და ლალატის... და უფრო მეტის - დარქმული ალატის (წისქვილის ის ნაწილი საიდანაც ფეკილი ჩამოდის). ეს ადრე იყო, დიდი ხნის წინათ, - იქნებ არასდროს, რაკი არ გვახსოვს - უხსოვარ დროში. გროში არ ღირდა ეს ორი სიტყვა - ყვირი და ურია. ყვირი და ურია, - ეს სულ ერთია სადაურია, აშკენაზი თუ სეფარადია, აქვს ქონება თუ არ აბადია; სეფარადი თუ აშკენაზია - ეს სულ ერთია - ერთი ხაზია - ყველა ყვირია, ზოგი ჰურიაც და სულ ერთია სადაურია... (ყ)ივრი ვარ ჰურიიაია!.., მაგრამ სულ ერთი არ უნდა იყოს.

ჰუსაფოთები

ამჯერადაც ასე მოხდა: ზედროულმა აიტაცა შემთხვევითი (ისტორიული პრობლემატიკის ლექცია); ან ასე: შემთხვევამ გამოიხმო მარადიული - კულტურის უნი-

დროს, ორივეს აქვს დიდი თვალები. ვალები, რა თქმა უნდა უფრო პირველს აქვს - მეცნიერებას. უსმენ და იმაზე ფიქრობ, ახლარომელ მეცნიერულ ვალს იხდის ლერნერი, ბერემითისას თუ ჩვენი თავების მონუსხვისას, თუ სხვისას და სხვისას. პროფესორის პროფესიონალურ დარაშში ახლა უკვე ორი სხვა სიტყვა დაწველიდება - დაწყება და დაფიქრება აი, ყურადღებით მოუუსნილოთ: მოდით თავიდან დაფიქრით, მოდით ერთი საათით დაფიქრითო ჩვენი წარმოდგენები ჩვენს შესახებ, ცოტა ხნით გადავდეთო რაც ვიცითო, რანი ვართო, საიდან მოვდივართო, როდის მოვედითო



საქართველოში, ერთი საათით დაფიქრითო მითები და ლეგენდები და ყური დაფიქრითო ისტორიულ მატერიალებს და საარქივო დოკუმენტებს, სიტყვათა ძირებს; მოდით თავიდან დაფიქრითო და გვეცნოთო არქეოლოგიური არტეფაქტებს, არზებსა და ანალებს დაფიქრითო ყური: ური იყოო შუმერის სეფე-ქალაქი, იგივე ურიში. ქალაქი ძველი ნელთალრიცხვის მეოთხე-მესამე ათასწლეულში მომქალავრებულაო. ბიბლიური მამა აბრაამი სწორედ ქალდეელთა ქალაქ ურიდან გამოვიდაო. აბრაამი პირველი გადმოსულიაო - (ყ)ივრი პირველი...

აბრაამ აბინუ ურქასდიმიდან გადმოვიდაო - შეაგება დარბაზმა და ზოგი სკამიდან წამოიწია პატვისცემის ნიშნად და ზოგმა თერახიც გაიხსენა, აბრაამის მამა. ური მარტო ქალაქი არ არისო, ური ჰურიიდან მოდისო, მზის შუქიდან, სინათლიდან. კავკასიურ ენებშიც ასეაო: ქართული ხურ(ება); სომხური ხერეა ხერაო (ალბათ, ებრაული ორ - ნათელი მ.ბ.). მამ ასე: ყვირი ეთონიმი და ჰური ტოპონიმი. (ყ)ივრი ჰურიია კი ნიშნავს წარმოშობით გადმოსულს, ჰურიის ქვეყნიდან, ისე როგორც ჰურიანი ქართველნი, ჰურიანი მცხეთელნი. ლერნერი ისიც გაიხსენა, რომ გასული საუკუნის ორმოციან წლებში, მაგან და მაგან ქართველ ებრაელს, სწორედ ასე ახსოვდა თავისი ურიობა, თავისი წინაპრებისაგან. მაგრამ სხვებს... სხვებს კი არა, ჩვენს ხალხსაც დაფიქრებული ჰქონდა მგ მაგიური სიტყვების მნიშვნელობა და წარმოშობა.

ისტორიის ორომტრიალში თავდაპირველი საზრისისგან დაცლილი სიტყვები ახალი სოციალური შინაარსით ივსებოდნენ ზღვის მოქცევათაგან. ზღვა ჩვენს თვალწინ მიიქცა და მიიქცია ჩვენი მზერა - მზე რა დიდა, დედაა ჰური - ვამბობთ და მეტაფიზიკასაც ვუხდით ხარკს. მოდით ახლა ასე ვთქვათ: ჰურ, როგორც მეტალინგვისტური ტოპონიმი, ოდესღაც ჩვენს ნათლის შვილობაზე და მზიურ წარმომავლობაზე რომ მიგვანიშნებდა, ხელახლა აღსდგა და გადაფარა დაკნინებული სოციოლექტი - ურია. გიხაროდეთ (ყ)ივრებო

კაცი იერუსალიმიდან

ამ დღეებში, იმ დროს - იერუსალიმელ სწავლულთან შეხვედრის საღამოზე - ებრაულ სახლში რაღაც ალაღ დადგა - აყირავდა, რაღაცამ გაიღვიძა, გაცოცხლდა, განათდა, გაშუქდა.

ამ დღეებში, ხანუქების (ანუ ქების) პირზე ხან ნაქები, ხან უქები სიტყვები (უკვე "მუქები") - (ყ)ივრი და ჰურია - ვაქეთ. იერუსალიმიდან აქეთ ჩამოვიდა კაცი მეცნიერი, დოქტორი, უნივერსიტეტელი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი - კოტე ლერნერი და მის მიერ ებრაული ფენომენის კვლევის შესახებ ისაუბრა. ისაუბრა, ასე უბრალოდ ითქმის, თორემ ძალიან ბრალიანი და ბრრ/ალიანი ამბები მოუთხრო აუდიტორიას. მოუთხრო კი არა, მითხარა და მოთხარა ჯერ ისტორია, რია-რია დააყენა, ენა გაიწყლიანა და მერე ენას ჩაჰყვა სათავეებთან. სათავეებთან კი ჰური დაგვახვედრა - ჩვენი ხვედრი ეს იყო - ჰურ, ხურ - ნათელი, ბრიალა. ეს, ის სიტყვაა მერე და მერე ურიად რომ იქცა, თემურ სლენგად - სათემო სახელად, რაღაც უსიამოვნო, ბრალის გამომხატველ სიტყვად რომ დაიღებ. ასე დაწყებულა ბრალი და ბრალი. ბრალის საქმეები აგორდა და დაგროვდა.

ესეც ორმაგი კოდირების სიტყვა: ჰურია - სოციოლექტი და ჰურია - სიმბოლო, ძველი სემანტემა, ან უბრალოდ მეტაფორა. მეტი ფორა რაღა უნდა ჰქონოდათ უხსოვარი, თუ სახსოვარი დროიდან მოსულ ებრაელებს; ან ასე ვთქვათ, უფრო ამყად და ღირსეულად - (ჰ)ურიებს. მეტი გზა არ არის, უნდა ვიხუმროთ: ეტყობა გზა და გზა დაიხარჯა ეს აღმავალი "ჰ", აორთქლდა, ცას შეუერთდა და დარჩა ურია და ის დიდი აურაც სულ აურია. ისე აურია, რომ ამ განსწავლულ აუდიტორიასაც გაორებული ფოკუსით აღებუქდა გონების ფირზეც და გუნება-ფერზეც. ფერისცვალება მაშინ მაშინებს, როცა ღიმილი შემოაკლდება. ღიმილისა რა მოგახსენოთ და კინალამ შემოგაკლდა და კინალამ შემოგაკლდა ზოგი მითი და ლეგენდა, ზოგი არაკი და ლაპარაკი, შორს ჩვენგან - ზოგიც დარაში, კინალამ ჩავცვივდით არაში - კინალამ უარაფროდ დავრჩით - მინდოდა მეთქვა, მაგრამ ამის გაფიქრებაც კი მკრეხელობაა საიმდარბაზოდ - დარაშების დამცველ დარბაზთან მიმართებაში. ისე მედგრად შეება და შეეგება ერთმანეთს ტრადიცია და ნოვაცია - გაგვაოცა, გაგვაოცა. მომხსენებელი კი თავის სიმალეს ინარჩუნებდა და დინჯი განსჯით პასუხობდა როლებში შეჭრილთა ს/როლებს, მაგრამ ამაზე ქვემოთ. ახლა ჯობია ის მოვიფიქროთ თუ როგორ მოვიხსენიოთ ჩვენი მომხსენებელი, თან სხარტად და თან ისე, რომ არაფერი დავაკლოთ - ბატონი კოტე, თუ პროფესორი ლერნერი? თუ უბრალოდ ლერნერი, რაც სწავლულსაც ნიშნავს გერმანულად. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იგი წარმოშობით ევროპელი ებრაელია - (ყ)ივრი აშკენაზი, - მაშინ ლერნერი უფრო ტყვადი ნიშანია საამწერლოდ, თორემ ისე, კოტე თბილისში დაბადებული, გაზრდილი და განსწავლული კაცია, ჩვენიანია - ქალაქელია. მე კი, რაღაც შუიდან დაფიქრე თხრობა, მოდი თავიდან დაფიქრებ - სულ თავიდან, სათავეიდან, თანმიმდევრობით.

სათავეიდან

თავიდან ასე დაიწყო: მოდით თავიდან დაფიქრითო - სთქვა ლერნერმა. ჩემი ტექსტი ვერ დაიჩემებს, რომ ნამდვილად ასე დაიწყო - მოდით, თავიდან დაფიქრითო, მაგრამ იმდენჯერ დაიწყო ასე და გაიმეორა - მოდით თავიდან დაფიქრითო, რომ ჯერ ვიფიქრე თავის შენუხებაზე, განსჯაზე, ანალიზზე მიაწინებებს; მერე ვიფიქრე, რომ ბერემითზე, თავდაპირველზე, სანყისთა სანყისზე ლაპარაკობს მეთქი, ან ორივეზე ერთად. ეტყობა დიდი მეცნიერების პირისპირ იგივე გვემართება, რაც შიშის

რას ვპიტივლობთ
ამ კვირაში?
რუბრიკას უძღვება
საქართველოს მთავარი რაბინი
არიელ ლეჰინი

ბო



კვირის საკითხავ თაემი „ბო“ 24 მცნებაა მოცემული. თავის დასაწყისში აღწერილია ახალი თვის აღნიშვნის მცნება, შემდეგ განხილულია ფესახის მსხვერპლთშენიერვა და ა. შ., ბოლოს ვეცნობით ეგვიპტიდან გამოსვლის გახსენებისა და სახედრის პირველშობილის გამოსყიდვის მცნებებს. თავი იწყება ეგვიპტელთა მერვე ცემულობის – კალიების შემოსევის აღწერით. ამის შედეგად ფარაონი უხმობს თავისთან მოშესა და აპარონს და ეკითხება, თუ ვინ უნდა გაუშვას გამჩენისათვის მსხვერპლის შესანიერად. როდესაც მას ესმის, რომ ბავშვების ჩათვლით, ყველა უნდა წავიდეს, კვლავ არ უშვებს ებრაელებს და ამბობს, რომ ებრაელებს ბოროტების ჩადენა აქვთ განზრახული. თორის პირდაპირი გაგებით ფარაონი ბოროტებაში გულისხმობს იმას, რომ ებრაელები

ალარ აპირებენ ეგვიპტეში დაბრუნებას. მაგრამ, ზოგიერთი კომენტატორის აზრით, ფარაონი ასტროლოგიით იყო გატაცებული და დაინახა ვარსკვლავი „რაა“ – „ბოროტება“, რომელიც ებრაელებს სიკვდილსა და სისხლს უქადდა. უდაბნოში ოქროს ვერძის გაკეთების შემდეგ, გამჩენს ებრაელთა განადგურება სურდა. მოშე რაბეინუმ მათ დასაცავად სწორედ ეს ფაქტი გამოიყენა და გამჩენს უთხრა: „ეგვიპტელები იტყვიან, რომ ებრაელები უდაბნოში გასანადგურებლად გამოიყვანე და ამ ფაქტს ისე აღიქვამენ, როგორც ფარაონის წინასწარმეტყველების ახდენას - ვარსკვლავების არასახარბიელო განლაგების გამო ებრაელებს უბედურება ეწვიათო“. გამჩენი ალარ ანადგურებს ებრაელებს და „ბოროტების“ ვარსკვლავის ავბედით ნიშანს - სისხლს წინადაცვეთის დროს დაღვრილი სისხლით სცვლის. საერთოდ კი, ცნობილია, რომ ებრაელ ხალხს არ მართავს ბედი. თუ ისინი არ ემორჩილებიან თორის კანონებს, მაშინ მათზე ბატონობს ბედი, ხოლო თუ თორის კანონებით ცხოვრობენ, მაშინ ყველაფერი მათ ქმედებებზეა დამოკიდებული. ებრაელის ცხოვრება როიალზე დაკვრას ნაგავს. თუ ის თორის ერთგულია, ანუ იცის დაკვრა, მაშინ მშვენიერ სიმფონიას უკრავს, და თუ არ მისდევს თორას, ანუ არ იცის დაკვრა, მაშინ კაკაფონია გამოსდის. მეცხრე ცემულობა – წყვდიადი სხვა დანარჩენებისაგან იმით განსხვავდება, რომ ის ექვსი დღე მიმდინარეობდა, მეშვიდე დღე კი გამჩენმა წითელი ზღვის

გადალახვისას გამოიყენა და ეგვიპტელებს ჩამოუბნელა დღე. და ბოლოს, მეათე ცემულობა – პირველშობილთა დაღუპვა, რომლის შემდეგაც ებრაელები ეგვიპტელებისაგან ნებაყოფლობით წამოღებული ოქრო-ვერცხლითა და ტანსაცმლით დახუნძლულნი, როგორც გამჩენი შეპირდა აბრაჰამს, გამოვიდნენ ეგვიპტიდან. ეს ამბავი ცოტათი ერთი მეფის მონის ისტორიას ნაგავს. მეფემ ის თევზის საყიდლად ბაზარში გაუშვა. მონამ გაფუჭებული, ცუდი სუნისანი თევზი იყიდა. მეფემ უთხრა: „სასჯელი თავად ამოიჩიე: ან მიირთვი ეს თევზი, ან გაირობგები, ან კიდევ გადაიხადე მისი საფასური“. მონამ თავდაპირველად თევზის შეჭმა გადაწყვიტა, მაგრამ ვერ შეძლო და ამის შემდეგ როზგებიც მოსინჯა და ბოლოს, გადაიხადა მისი საფასური. ასევე დაემართათ ეგვიპტელებს, ათი ცემულობის შემდეგ კიდევაც გადაუხადეს ებრაელებს ოლონდაც წასულიყვენ. ეგვიპტიდან გამოსვლით ჩვენი რწმენის რამდენიმე საყრდენის (საფუძვლის) შესწავლა შეეძლებოდა: გამჩენი ურთიერთობას ამყარებს წარჩინებულ ადამიანებთან და მათ წინასწარმეტყველების უნარს ანიჭებს (მოშე რაბეინუმ იცოდა ეგვიპტელთა 10 ცემულობის შესახებ მათ განხორციელებამდე) გამჩენი სჯის ბოროტმოქმედებს გამჩენი თვალყურს ადევნებს და ერთვება სამყაროში მიმდინარე მოვლენებში. ამ თავში მითითებულია მცნებები, რომლებიც ეგვიპტიდან გამოსვლასთანაა დაკავშირებული: ახალი თვის განწმენდა და დღესასწაულების დროულად აღნიშვნა (ფესახი

ყოველთვის გაზაფხულზეა) საფესახო მსხვერპლთშენიერვა, მისი მთლიანად შეწვა ცეცხლზე (როგორც მწვადი) და მიერთვევა ეგვიპტიდან ნაუცბათევი გამოსვლის აღსანიშნავად საფესახო მსხვერპლის ხორცი არ უნდა დარჩეს მეორე დღეს ისე, როგორც მეფეები და დიდებულები არ მიირთმევენ მეორე დღის ხორცს. გაფუჭებულის (ხამეცის) გატანა სახლიდან და მისი გაყიდვა (არ უნდა დავივიოვოთ ის ჩვენს მფლობელობაში) და მაცის მიერთვევა. არ უნდა მივირთვათ არანაირი პროდუქტი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ხამეცი, არ მივიცეთ საფესახო ბატკანი იმ ებრაელს, რომელმაც უღალატა თავის რწმენას, რადგანაც ჩვენ მას მივირთმევეთ გამჩენთან ჩვენი კავშირის აღსანიშნავად, ასევე არ მივიცეთ ის კერპთაყვანისმცემელს. არ გავიტანოთ ხორცი გარეთ, მივირთვათ ის ჯგუფურად, არ დავამტვრიოთ ძვლები – ეს არაა მეფური საქციელი, ჩვენ ხომ ამ ღამით ჩვენი სულიერებით უნდა ვაჩვენოთ, რომ გამჩენის შვილები ვართ წინადაუცვეთელი ვერ შეჭამს ამ მსხვერპლიდან პირველშობილთა გამოსყიდვაც უნდა შევასრულოთ ეგვიპტიდან გამოსვლის საპატივცემულოდ, რადგანაც ებრაელთა პირველშობილი სასწაულებრივად გადაარჩინა გამჩენმა იმ ღამეს. სახედრების პირველშობილიც უნდა გამოვიყიდოთ ცხვრით რა თქმა უნდა, ფესახის ღამეს ებრაელებმა უნდა გაიხსენონ ეგვიპტიდან გამოსვლა, წაიკითხონ „აგადა“, რადგანაც ეს ჩვენი რწმენის საფუძველია, გამჩენის არსებობის აღიარება ამ სამყაროში.

ქვირვანსი სარუქარი მეცნიერს

198

„וְהוֹדִיעַ לְךָ בְּיָמֵי בְּשׂוֹן בְּמַחְשְׁבֹתָי“
— וְעָשׂוּ בְּמִסְפָּד וְאַבְל וְהִשְׁחִיחַ רַחַף לְאַרְצָאֲשָׁת
וְהִנֵּה שָׁלֵם אוֹפִיעַ, וְנִפְשָׁם בָּהֶם נִקְרָאֲשָׁת!
וְיִשׁוּ בְּזֹאת בְּבָבִי, וְיִפְלֹל שְׂבָלִי בְּרֵשֶׁת.

ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანის სექსუი, დარჩილი ივით ბიარგმენლობ ბორის გაქონოვის ბერ, მისი სექსუი სელიო.

სანსთავად ბეწინ გიიოხს უღრმესი
ქაფვიისკეპო

5732 წელი, აპრილის 12.

וַיְבֹא אֶל-אַיִזָּה חֶבְלִי, וַיְשִׁימוּן בְּלִתֵּי-זַמְנוֹ,
לֹא-רָצָה אֲנוֹשׁ כְּחֹדֶשׁ עַל-שָׂמְאֵל וְעַל-יִמְנוֹ
בְּרָעָה בְּזֹאת לֹא-בָּאוּ אֶל-אִיִּים וְלֹא-רָמְנוּ;
וְהָיָה בַּיּוֹם וְלִילָהּ בְּיַם-הַחַיִּל הַחֲמָנוּ.

וַיְבַחֵר מְקוֹם מְרֻגָּע — חֵר גְּבוּחַ וְשָׁפִיעַ,
מְרֻאָשׁוּ בְּרָעָה נִשְׁקָפֹת, מִתְּלַף יָמִים שְׁבוּעַ,
נִהְרָה זָבַח מִתְּחַת, גִּשְׁרִים לֹא-חֲשָׁבוּהָ,
יַעֲרֹת עַל-גְּדֻחֵיהָ עֲטָפוּהָ וְשָׁבוּהָ.

וַיְסַפֵּר יָמֵי הַדָּרָךְ — וְהִנֵּה עִתּוֹ נִדְּלִית:
לֹא-נִוְתַר פִּי-אִם חוֹדְשִׁים, אֲנָקוֹת עַל-כֶּף פּוֹלְטָ,
וְתִסְלַח נֶפְשׁוֹ: „אָבֹוֹי אִם תִּעֲלֹמְתִי נִגְלִית,
הֲאֲנוֹשׁ יִתְקַן-עוֹל וְשִׁנִּית הַיִּזְלֵךְ?“

וַיִּשְׁקַע בְּתוֹךְ מִחְשָׁבֹת וַיִּשְׁקַל בְּשׂוֹם הַשְּׂבָל:
„אִם-אֲשׁוּב — עַל-מָה בְּלִיתִי בְּשָׂדָה עִתִּי עַד-תִּבְלֵךְ?
אֶת-שָׂמְשִׁי מִהֲיָב אֲשִׁיבָה עַל-אֲבוּדִי יָמֵי בְּנִיכֵל,
דָּרָךְ מִן לְמַצּוֹא בְּקִשְׁתִּי מִבְּלִיתִי מִצּוֹא אֶל-רֵיכֵל?“

„וְאִם-לֹא אֲשׁוּב, בְּחֻפְשִׁי עוֹד-יָמִים רַבִּים אֲשָׁקִיעַ
מִבְּלִיתִי לְמַנּוֹד לְרַעַת עַל-הָאִישׁ אֲשֶׁר הִרְקִיעַ —
וְחָלַף מִנּוֹעַד, וְדָמַע מַעֲיָנִי עַבְדִּי יִבְקִיעַ,
וְנָגַשׁ אֶל-גִּגְדֵּנוּ וְסוֹדִי אֶלְיוֹ יוֹקִיעַ!“

შენიშვნები:
გაიოზი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გაიოზ იმ-
ედაშვილი
გერშონ წინუაშვილი — გერშონ ბენ ორენი — დოქტორი, საქართველოს
ებრაელთა ისტორიის, ტრადიციების მკვლევარი (იერუსალიმი)

მოსკოვის ქართველი ებრაელობა ფრთავს ულის

დეკემბერში, მოსკოვის ქართველ ებრაელთა სტუმარი გახლდათ ისრაელის აშკენაზ ებრაელთა მთავარი რაბინი იონა მეცგერი.

მოსკოვში იონა მეცგერის 3 დღიანი ვიზიტის ინიციატორები გახლდნენ ებრაელი ქველმოქმედნი – გიორგი, მერაბ ელაშვილები და მათი სიძე – რომან შამილაშვილი – სწორედ მათი სურვილი გახლდათ ისრაელის აშკენაზ ებრაელთა მთავარი რაბინი კარგად გასცნობოდა მოსკოვის ებრაულ ცხოვრებას, მოსკოვში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მისწრაფებას ეროვნული იდეალების ერთგულებისაკენ.

პირველი შეხვედრა გაიმართა ბეით ქნესეთ „იცხაკის კრავში“, რომელიც ძმებ ელაშვილებისა და რომან შამილაშვილის მეოხებით შეიქმნა.



– შთამაგონებელი გახლდათ „იცხაკის კრავში“ იონა მეცგერის გამოსვლა, რომელიც მერაბისა და გიორგის მამის – იცხაკ ელაშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

იონა მეცგერმა „იცხაკის კრავში“ გამოსვლა სამ პრობლემას მიუძღვნა: ანტისემიტიზმს, ასიმილაციას და განხეთქილებებს ებრაულ თემში. მეცგერმა აღნიშნა, რომ პირველი ორი პრობლემის გადაჭრა ებრაელებმა ასე თუ ისე ისწავლეს, ხოლო მესამე პრობლემის – ებრაულ თემში განხეთქილებების დასაძლევად ქართველ

ებრაელებს საკუთარი რეცეპტი აქვთო.

– თქვენი არაჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობა ყველას აერთიანებს – თქვა მან. იონა მეცგერმა გიორგი ელაშვილს ისრაელის მთავარი რაბინის დროშა გადასცა და დასძინა:

– ეს დროშა მხოლოდ მთავრობის მეთაურებს გადაეცემათ, ამ შემთხვევაში კი გამონაკლისი დაგუშვით.

იონა მეცგერმა და ბერ ლაზარმა – რუსეთის მთავარმა რაბინმა – ელაშვილების ოჯახის წარმომადგენლებთან და აშდოდელ რაბინთან – ხახამ სიმონ ელიშაყაშვილთან ერთად ყვავილებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის კედელთან, იონა მეცგერი ეწვია აგრეთვე ბრონნაის ქუჩაზე არსებულ სინაგოგას.

ისრაელის მთავარი რაბინის ვიზიტის მნიშვნელოვანი პუნქტი გახლდათ იეშივა „ტომხეი ტიმში“ სტუმრობა. ამ იეშვიის ცენტრალურ კორპუსს რომან შამილაშვილის მამის – ილიას სახელი ეწოდა.

ნითელი ლენტი გადაჭრეს რუსეთის მთავარმა რაბინმა ბელ ლაზარმა, გიორგი და მერაბ ელაშვილებმა, რომან შამილაშვილმა და მისმა ვაჟმა ილიამ. კორპუსის კარზე მეზუზა თავად იონა მეცგერმა მიამაგრა.

მადლობის გრძობით განმსჭვალული სიტყვა წარმოსთქვა გიორგი ელაშვილმა, ხოლო მერაბ ელაშვილმა დამსწრეთ უამბო იმაზე, თუ რა გეგმები აქვს იეშივა „ტომხეი ტიმის“ მხარდასაჭერად. ასევე იმაზე, რომ ისრაელში ისაკ ელაშვილის სახელობის ბეით ქნესეთს გახსნიან.

იონა მეცგერის ეს სტუმრობა მოსკოვში, ის, თუ რა გეგმები აქვს ელაშვილებისა და შამილაშვილების ოჯახებს კიდევ ერთხელ ნათელს ხდის ქართველი ებრაელობის ეროვნულ პროფილს.



ხელილი ისრაელიდან

გაზეთ „მენორას“ მთავარ რედაქტორს ბატონ გურამ ბათიაშვილს!

ისრაელიდან მოგესალმებათ საქართველოს ლამაზ მხარეში დაბადებული და აღზრდილი, ქართული პურმარლით დამტკბარი და გალალბებული, დღესდღეობით ჩვენს ისტორიულ სამშობლო ისრაელში მცხოვრები პერსონალური პენსიონერი-პედაგოგი სიმა თავდი-თავდიდიშვილი.

ჩვენი საყვარელო ადამიანებო, მშრომელო, მეზობლო, კეთილო და საყვარელო ხალხო! გილოცავთ ახალ წელს – 2010 წელს. გისურვებთ ხევაიან, ბარაქიან და მშვიდობიან ცხოვრებას, ძმობას, ერთობას, ურთიერთსიყვარულს და აღმავლობას.

დიდი და ღრმაა ჩვენი თქვენდამი სიყვარული. ქართველ და ებრაელ ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის ურყევი ხიდია გადებული და გვწამს, რომ ეს ხიდი – იარსებებს მარად. იარსებებს იგი ლექსებში, სიმღერებში, პოეზიაში და კეთილი ადამიანების გულეში, რომელთაც ხელეწიფებათ მხატვრული ენით, დიდი სიყვარულობით შეაფასონ და აღნიშნონ ამ ორი ერის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთცხოვრება.

ამ დიდი სიყვარულის ნიშანგამოხატულებად მიმაჩნია – ჩვენი თანამემამულის, ქუთაისელი ვაჟკაცის დიდი საჩუქარი – ქართულ ენაზე გამოცემულილ ახალი წიგნები, მათ შორის „ებრაელი ვარ, ქართულ ძუძუთი გამოკვებილი“. თვით სათაურიც კი საკმარისია პოეტისა და ამ წიგნის ღირსების აღსანიშნავად.

ჩვენი ძვირფასებო, ჩვენი ქალაქო, ქუთაისლებო! ამ წიგნით – რაინდულ პატივს მოგაგებს შენი შვილი, შენს მინაზე დაბადებული და აღზრდილი, პოეტური სულისკვეთებით შემართული და ამღერებელი, კეთილშობილი ვაჟკაცი, პროფესიით აგრონომი და მათემატიკოსი, ცხოვრების ფართო გზაზე გამოსული პოეტი და ჟურნალისტი ბატ. ირაკლი კოკუაშვილი.

ირაკლი კოკუაშვილის სახელი საკმაოდ ცნობილია ქუთაისელი მკითხველებისათვის მისი ნარკვევები, ლექსების ციკლი – ხშირად იბეჭდებოდა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში: „Кутайсская правда“-ში „სახალხო განათლება“-ში.

მხოლოდ 8 წელია, რაც ბატ. ირაკლიმ დასტოვა მშობლიური ქუთაისი და ოჯახთან ერთად შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად მუდმივ საცხოვრებლად ამოვიდა – თავის ისტორიულ სამშობლო ისრაელში. დასახლდა ქ. აშდოდში – და დღიდან ამო-სვლისა ეწევა ფართო საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოღვაწეობას. მისი სტატიები, ნარკვევები, ბიოგრაფიული მიმოხილვები, ლექსები – ხშირად იბეჭდება გაზეთ „ალიის“ – ფურცლებზე და მკითხველის დიდ მონონებას იმსახურებს. პოეტის წიგნის შესახებ რეცენზია და საკმარისად დადებითი შეფასება დაიბეჭდა გაზეთ „ალია“-ში.

ამ მოკლე დროში, ნოსტალგიის ძლიერმა გრძნობამ დიდად აუფორიაქა სული ვაჟკაცს, ხელს კალამი ააღებინა, ფიქრებით საქართველოს ბუნების ნიაღში გადააფრინა და საყვარელი ქუთაისის სატრფიალო – თბილი ლექსებით – თაბახის ფურცლები აავსებინა. ფურცელს ფურცელი დამატა, დაიწერა საქართველოში გატარებული ცხოვრების წლები, ბავშვობის, ყრმობის დღეთა მოგონებანი. საქართველოს ამწვანებული მთების და ველის მშვენიება, შმაგი რაიონის ტალღების ჩქეფა, ძველი ხიდები, ბაგრატიის ტაძარი და ბალის კიდე, მშობლიური ეზო-კარი, ომის მრისხანე და სუსხიანი დღეები. აივსო თაბახი სუფთა, მარტივი, გამართული ქართული ენით და მარგალიტებად ასხმული რითმებით, მგრძობიარე, გულში ჩამწვდომი სიტყვებით და შეიკრა იგი დიდი ლექსების ერთიან კონად.

წიგნში პოეტი დიდი სიყვარულით აღწერს – ისრაელის ლამაზ ბუნებას, გოდების კედელს, დავითის კოშკს, წმინდა ქალაქ იერუსალიმს, ლამაზ ზღვისპირა ქალაქ აშდოდს და ისრაელის სიყვარულში თმაგათეორებულს, სიზმარ-ცხადად, მაინც ქუთაისის ნახვა ენატრება და ყველას შესთხოვს – ნუ დაუშლიან მის გულს ამ ქალაქის ასეთ დიდ სიყვარულს, რადგანაც პოეტის თქმით:

*სიშმა ერმა რა ქართიქომს ხალობს.
გულის სიყვარულის რაქი რამსაქერს.*

საქართველოზე შეყვარებული პოეტი ასე მიმართავს ღმერთს:

*რა თუ სიყვარული მე მიწ'ერის.
ლომითო ძლიერო ისე არ მომყოს.
ჯერ საქართველოს გარამსაქერო.
ნახვის სიყვარული გულის რომ საქიქოს.
ყუანსაქეროცა მიყოლოქონსო.
ბავროცის ცაძაწონს რა თქონის გონოს.
შემოცეკე ყი აქეთ. სიშმა ისრაელში.
სიყვარულსაქერო სიყვარულის მსყოლოწონს.*

ამ რამდენიმე წლის წინ ბატონი ირაკლი ეწვია თავის საყვარელ ქუთაისს. დატკბა მისი სიყვარულით და საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს საჩუქრად გადასცა თავისი – ორი ერის სიყვარულით გამთბარი წიგნი – „ებრაელი ვარ, ქართულ ძუძუთი გამოკვებილი“.

ჩვენ, ქუთაისლებს – დიდად გვახარებს და გვეამაყება ჩვენი თანამემამულის – ბატონი ირაკლი კოკუაშვილის ასეთი წარმატება და სახელი. გვეამაყება, რომ მისი ლიტერატურული ასპარეზი დღითიდღე იზრდება, იფურჩქნება და ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში პოეტი კვლავ გაახარებს თავის მკითხველებს – ახალი შემოქმედებითი მიღწევებით.

ჩვენი საყვარელო ქუთაისლებო! თქვენთან ერთად დიდი სიყვარულით მივესალმებით ერთიან საქართველოს საზოგადოებას, ქუთაისიდან გამოსულ ჩვენი თემის საზოგადოებას – მსოფლიოს ყველა ქვეყნებში გაფანტულებს, ღირსეულ მამულისშვილებს, რომლებმაც თავიანთი შრომითა და მოღვაწეობით ასახელეს ჩვენი ქალაქი ქუთაისი.

წარმატებები და გამარჯვებები იყოს თქვენი თანამგზავრი. ილღეგრძელებით და იხარეთ!

პატივისცემით სიმა თავდი
პედაგოგი, ისრაელი

დამფუძნებელი და
გამომცემელი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ
ბათიაშვილი